ხელშეკრულება №164

ქ. ოზურგეთი

10 სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის, ბეგლარ სიორიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ი.მ. ნუნუ სიმონიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 10 სექტემბრის N128 ბრძანების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია „ალეგრობა-ოზურგეთლობ"-ის დღესასწაულის ორგანიზებისათვის ტურისტული კუთხის მოსაწყობად სხვადასხვა საქონელის შესყიდვა დანართის შესაბამისად.
1.2. CPV კოდი: 92622000 - სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **38 (ოცდათვრამეტი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 14 სექტემბრამდე.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა და სხვა).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხდება ეტაპობრივად შემსიყდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის ტურიზმის განყოფილების უფროსი ირინა შალამბერიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ***2015 წლის 10 სექტემბრის N831 ბრძანებით*** გამოყოფილი თანხებიდან, ეროვნული ვალუტით.
6.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდების შემდეგ.
6.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ვლადიმერ კუნჭულია.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ნოემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ი.მ. ნუნუ სიმონიშვილი
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი,	მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭანტურიას ქ. №5;
კოსტავას ქ. №1	ტელ.: 599 53 26 22
საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850	საიდენტიფიკაციო კოდი: 33001018491
ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“.
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE85VT 4300 0000 0004 3303	ა/ა GE96LB 0112 1145 1775 0000
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:	*ი.მ. ნუნუ სიმონიშვილი:*
ბ. სიორიძე	*ნ. სიმონიშვილი*

№	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	ფერადი ფურცელი პატარა	ცალი	100	0,1	10
2	ფერადი ფურცელი დიდი	ცალი	10	1	10
3	მაკრატელი	ცალი	2	2,5	5
4	წებო	ცალი	1	1	1
5	სქელი ქაღალდი	ცალი	20	0,3	6
6	ცისფერი ლენტი	რულონი	1	6	6
	ჯამი				38,00

„შემსყიდველი“

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი,
კოსტავას ქ. №1
საინდენტიფიკაციო კოდი: 237 113 850
ბანკის დასახელება: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE85VT 4300 0000 0004 3303

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:

ბ. სიორიძე

„მიმწოდებელი“

ი.მ. ნუნუ სიმონიშვილი
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭანტურიას ქ. №5;

საიდენტიფიკაციო კოდი: 33001018491
ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“.
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE96LB 0112 1145 1775 0000

ი.მ. ნუნუ სიმონიშვილი:

ნ. სიმონიშვილი